„საქართველოს ისტორია, კულტურა და თანამედროვეობა“

კონკურსის დებულება

2026

მუხლი1.ზოგადი დებულება

შპს ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო სტატუსის სტუდენტებში ქართული კულტურის, ისტორიის და ტრადიციების კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე – „საქართველოს კულტურა, ისტორია და თანამედროვეობა“.

კონკურსის ფარგლებში სტუდენტები შექმნიან ესეებს, გაიაზრებენ ქართულ კულტურას, ისტორიას და თანამედროვეობას, შეძლებენ ლიტერატურული აზროვნების საუკეთესო უნარ-ჩვევების გამოვლენას.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

1. სტუდენტების მიერ ქართული კულტურის, ისტორიის და თანამედროვეობის უკეთ გაცნობა, ინგლისურ ენაზე გამართული წერის კულტურის დახვეწა, თანამიმდევრული, ლოგიკური მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება.
2. სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება;
3. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აგრეთვე შემოქმედებითი უნარების განვითარება;
4. კონკურენტულ გარემოსთან ადაპტირებისა და შესაძლებლობათა გამოვლენის უნარების განვითარება.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ევროპის უნივერსიტეტის და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტებს.
2. ესე შექმნილი უნდა იყოს სპეციალურად ამ კონკურსისთვის ინგლისურ ენაზე;
3. საკონკურსო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 400 სიტყვა და მაქსიმუმ 600 სიტყვა.
4. ესეს შესასრულებლად განკუთვნილი დროა 2 საათი;
5. ნაშრომის ბოლოს უნდა იყოს მითითებული უნივერსიტეტის დასახელება, ფაკულტეტის დასახელება, კურსი, ავტორის სახელი და გვარი, საკონტაქტო მონაცემები და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
6. ესეები ექვემდებარება შესაბამისი პროგრამით (Turnitin) შემოწმებას და პლაგიატის დადგენის შემთხვევაში არ განიხილება;
7. პიროვნების შეურაცხმყოფელი, აგრესიული, არანორმატიული ლექსიკის შემცველი ტექსტის შემთხვევაში ესე კონკურსს გამოეთიშება.

მუხლი 4. შეფასების კრიტერიუმები

1. დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება;
2. საკითხის ირგვლივ არგუმენტირებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელშიც წარმოჩნდება სტუდენტის ერუდიცია და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; აგრეთვე პრობლემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაჭრის გზის შეთავაზება;
3. აზრის მკაფიოდ, ნათლად, ამოცანის შესაბამისი სტილითა და სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით გადმოცემა.

ესე ფასდება სამი კრიტერიუმის მიხედვით და მისი შეფასების მაქსიმალური ქულაა 10.

დეტალური შეფასების რუბრიკა მოცემულია დანართით.

მუხლი 5. კონკურსის ლოჯისტიკა:

1. კონკურსი ჩატარდება ერთ ეტაპად;
2. კონკურსის ჩატარებას ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტი და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი (სტუდენტებისათვის კონკურსის პირობებისა და ვადების გაცნობა, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა);
3. რექტორის ბრძანებით სპეციალურად ამ მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია არანაკლებ 5 წევრის (ფილოლოგიის მიმართულებით) შემადგენლობით და კონკურსის სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. კომისიებს ხელმძღვანელობენ კომისიის თავმჯდომარეები;
4. კონკურსი ჩატარდება თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში და ქუთაისში ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში;
5. კონკურსის მიმდინარეობისას განხორციელდება ვიდეოკონტროლი, ასევე პროცესს თვალყურს მიადევნებს სპეციალურად გამოყოფილი მონიტორინგის ჯგუფი; აკრძალულია მობილური ტელეფონისა და სხვა ნივთების შეტანა, გარდა სასმელი წყლისა და საწერი კალმისა;
6. თითოეული სტუდენტი ნამუშევარს შეასრულებს სპეციალურად კონკურსისთვის დადგენილ დროს (დღესა და საათზე), რომელიც კონკურსანტს ეცნობება 3 დღით (სამუშაო) ადრე მის მიერ კონკურსზე რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ მისამართზე და მობილურ ტელეფონზე შეტყობინების სახით;
7. მონაწილეებს ეცნობებათ ესეს თემატიკა წერის დაწყებამდე 5 წუთით ადრე;
8. კონკურსის ნამუშევრების შეფასების კომისია შეარჩევს 3 საუკეთესო ნაშრომს;
9. ევროპის უნივერსიტეტს უფლება აქვს გამარჯვებული ესეები, მისი ავტორის/ავტორების თანხმობის შემთხვევაში განათავსოს უნივერსტიტეტის ვებ-გვერდზე eu.edu.ge, ასევე ინფორმაცია გაავრცელოს სოციალურ მედიაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის მონაწილეს არადამაკმაყოფილებელი შედეგის შეტყობინებისთანავე უფლება აქვს 2 დღის (სამუშაო) ვადაში წერილობით მიმართოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს შედეგის გასაჩივრებისა და ნაშრომის გამოთხოვის მიზნით;
2. სააპელაციო კომისია ვალდებულია განიხილოს შემოსული განცხადება/განცხადებები და გადაწყვეტილება აცნობოს კონკურსანტს 2 დღის ვადაში.

მუხლი 7. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება

1. კომისია განიხილავს ნამუშევრებს და გამოავლენს I, II, III ადგილებზე გასულ კონკურსანტებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან ევროპის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული პრიზებითა და დიპლომებით.

მუხლი 8. კონკურსის ვადები

1. ევროპის უნივერსიტეტის და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტებს შორის კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება არაუგვიანეს 2026 წლის 23 თებერვლისა;
2. მონაწილეთა რეგისტრაცია 2026 წლის 2 მარტიდან – 16 მარტის ჩათვლით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ბმულზე;
3. მონაწილეთა საბოლოო რაოდენობის განსაზღვრა არაუგვიანეს 2026 წლის 16 მარტისა;
4. კონკურსის ჩატარება არაუგვიანეს 2026 წლის 30 მარტისა ;
5. გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა არაუგვიანეს 2026 წლის 6 აპრილსა
6. გასაჩივრების ბოლო ვადა 2026 წლის 15 აპრილი;
7. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება არაუგვიანეს 2026 წლის 24 აპრილისა;
8. დამატებითი კითხვების შემთხვევაში კანდიდატებს შეუძლიათ კონკურსის ორგანიზატორებთან კომუნიკაცია შემდეგი ელფოსტით: info@eu.edu.ge